



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შაყილაძე

„22“ 10 2015 წელი

გვ. N2

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის

ფინანსური აუდიტის ანგარიში № 59/00

სარჩევი	
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
1.არაფინანსური აქტივები.....	4
1.1 ძირითადი აქტივები.....	4
1.2 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	6
2.დებიტორული დავალიანებები	7
3.ხარჯები.....	10
3.1 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	10
3.2 ხარჯვითი ოპერაციის დროში არასწორად აღრიცხვა.....	10
3.3 მივლინებები	11
3.4 გადახდილი ფასის შესაბამისობა	12
3.5 კომუნალური ხარჯები.....	14
4.არასწორი კლასიფიკაცია	15
5.პირობითი აქტივები.....	16
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	18
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების აბზაცი	19
1.სახელმწიფო შესყიდვები.....	19
დევნილთა განსახლების მიზნით ბინების შესყიდვა	19
შპს „NBG“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება	20
შპს „ნიუ ბილდინგ“-თან თანაგადახდის ხელშეკრულებები.....	21
2.წინასწარი ანგარიშსწორება	23
3.დევნილთა გამოზამთრება	24
4.კრედიტორული დავალიანებები	25
5.შეუსაბამობები პირველად სააღრიცხვო რეგისტრებსა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს შორის	25
6.ევროკავშირიდან მიღებული ფინანსური დახმარება.....	25
აუდიტორთა ხელმოწერა:.....	29
ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	30

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული

სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. არაფინანსური აქტივები

1.1 ძირითადი აქტივები

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით 2014 წლის პირველი იანვრისათვის ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 31 204 262 ლარს, ხოლო წლის ბოლოს - 34 808 284 ლარს (*აქტივების ღირებულება გაზრდილია დევნილობის საცხოვრებელი ბინების შეძენით, რომელთა დაკანონება საანგარიშო პერიოდში დევნილ ფიზიკურ პირებზე ვერ განხორციელდა, რის გამოც აღირიცხა აპარატის ბალანსზე*).

გარემოება:

სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფაქტიურ სარგებლობაში არსებული ქონება

სამინისტროს ცენტრალური აპარატი და მისდამი დაქვემდებარებული სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - განთავსებულია ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15 ა-ში მდებარე შენობაში და აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი

მტკიცებულების¹ თანახმად, ფაქტობრივად დაკავებული აქვთ 5,518 კვ.მ. ფართობი. მოცემული აქტივების ფლობის სამართლებრივი საფუძველი არსებობს მხოლოდ 4,932.5 კვ.მ-ზე². არსებული კანონმდებლობის თანახმად, დანარჩენი ფართების სარგებლობაში პირველადი გადაცემის შესახებ სამინისტროს განცხადებით არ მიუმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის, რათა მიეღო სარგებლობაზე კანონიერი უფლება³, რითაც დარღვეულია მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ წესი. სამინისტრო თამარაშვილის ქ. N15 ა-ში მდებარე შენობაში 585.5 კვ.მ-ს იყენებს ყოველგვარი სამართლებრივი დამაგრების გარეშე.

ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული დაურეგისტრირებელი ქონება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების შესაბამისად სარგებლობის უფლება სამინისტროს სახელზე რეგისტრირებულია მხოლოდ 725.20 კვ.მ-ზე⁴ (5,518-4,932.5). სარგებლობაში გადაცემული დაურეგისტრირებელი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრირების ვალდებულება ეკისრებოდა სამინისტროს.

სარგებლობაში არსებული შეუფასებელი და აღურიცხავი შენობა-ნაგებობები

სარგებლობაში გადაცემული ფართობიდან - **564.12 კვ.მ. არ არის ასახული** ბალანსზე, რითაც არ არის უზრუნველყოფილი აქტივების აღრიცხვის სისრულე.

ბალანსზე აღრიცხული (დემონტირებული) არარსებული შენობა

ძირითადი აქტივების საწყის ნაშთში 14,065 ლარის საბალანსო ღირებულებით (14,801 ლარი-ისტორიული ღირებულება) აღრიცხულია ფიზიკურად არარსებული უძრავი ქონება; კერძოდ, თამარაშვილის ქ. N15 ა-ში მდებარე „საგენერატორო შენობა“, რომელიც 2013 წელს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის (ეზო) კეთილმოწყობის შემდგომ დემონტირებულ იქნა. აღნიშნულით გაზრდილია ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი - 14,065 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 13,918 ლარით.

¹ სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ცნობა.

² სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილები, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებები, მიღება-ჩაბარების აქტები.

³ „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილება.

⁴ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ბალანსზე არსებული ქონება, რომელთა მიხედვით საკუთრების უფლება რეგისტრირებულია დევნილ ოჯახებზე

„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეზრდოლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიის“ გაუქმების შემდგომ, მისი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი უზრუნველყოფა დაევალა სამინისტროს. სხვა დანარჩენი აქტივებისა და ვალდებულებების გადმოცემასთან ერთად, განსაკარგავად გადაეცა⁵ ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. N18-ში არსებული 566,975 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა საერთო შიდა ფართი - 6,955.88 კვ.მ და მასზე დამაგრებული 873 კვ.მ არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებების საფუძველზე⁶ 2012-13-14 წლებში 3,700.9 კვ.მ-ის მქონე საერთო ფართობი პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარი) საკუთრებაში გადაეცათ დევნილ ოჯახებს და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მათ სახელზე. სამინისტროს არ განუხორციელებია მოცემული აქტივების გასვლის (ჩამოწერის) სააღრიცხვო რეგისტრაცია. აღნიშნულის გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობების N2112 საბალანსო ანგარიშის საწყისი ნაშთი არასწორად - 207,977 ლარით გაზრდილი, ხოლო საბოლოო ნაშთი - 211,059 ლარით გაზრდილი ღირებულებით არის წარდგენილი.

გავლენა: ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთის მუხლი შენობა-ნაგებობების ნაწილში 222,042 ლარით (207,977+14,065), ხოლო საბოლოო ნაშთი - 224,977 ლარით ზედმეტად არის წარმოდგენილი ბალანსსა და დანართ N5-ში „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“. ასევე, შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლზე უფლება-მოვალეობებისა და არსებობის მტკიცებები ვერ დასტურდება.

1.2 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

გარემოება: ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსის) მიხედვით „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ საბოლოო ნაშთი შეადგენს 373,385 ლარს. გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებად აღიარებულია ისეთი აქტივები (პრინტერები), რომლის ერთეული ისტორიული ღირებულება აღემატება 500 ლარს და აკმაყოფილებს ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს⁷;

გავლენა: 1,200 ლარით გაზრდილია „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ და შემცირებულია „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი ბალანსსა და დანართ N5-ში.

⁵ საქ. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 7 მაისის N61 ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნა.

⁶ 2012 წლის 29 აგვისტოს №29/08/02; 2012 წლის 24 სექტემბრის №24/09/01; 2013 წლის 06 თებერვლის №06/02/02; 2013 წლის 28 მარტის №28/03/02; 2013 წლის 17 ივლისის №17/07/03; 2013 წლის 13 ნოემბრის №13/11/06;

⁷ დარღვეულია საქ. ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

2. დებიტორული დავალიანებები

ნაერთი ფინანსური ანგარიშგების თანახმად, სამინისტროს დებიტორული დავალიანების ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 12,889,486 ლარს, წლის ბოლოსთვის დავალიანება გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა - 25,817,742 ლარი. ბუღალტრული აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმების მიზნით, არსებული კანონმდებლობის დარღვევით, 2014 წელს სამინისტროში არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია⁸ (რომლის ჩატარებაც სავალდებულოა ყოველი საბიუჯეტო წლის ბოლოს და რეკომენდებულია წელიწადში ორჯერ მაინც).

გარემოება:

- შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგოს) მუხლით გაწეული ხარჯებიდან, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს მიერ, **ზედმეტად არის გაცემული 502 ლარი**, რომელიც აუდიტის მიმდინარეობისას გაცემული რეკომენდაციით აღიარდა მოთხოვნებში.
- 2014 წლის ნაერთ ბალანსში არ არის აღრიცხული და შესაბამისად არასწორად, შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი დებიტორული დავალიანების N1480 – „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ საბალანსო ანგარიშის საწყისი ნაშთი - 3,156 ლარით, საბოლოო ნაშთი კი - 4,037 ლარით.
- სხვა მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებში არ არის აღრიცხული მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებელაზე ან არაჯეროვნად შესრულებელაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები, სანქციები; სამინისტროს მიერ მათ შორის ასევე არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში წლის ბოლოს ასახული შპს „NBG“-სთვის გადარიცხულს და ხარჯად აღიარებულსა და ფაქტობრივად შესრულებულ (ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად) სამუშაოს შორის სხვაობის თანხა - 642,554 ლარის ოდენობით (642,554+ჯარიმები 2,956,363=3,598,917). ანგარიშგებაში **აუსახავი თანხა⁹ შეადგენს - 4,642,062 ლარს.**

⁸ დარღვეულია საქ. ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ 3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

⁹ დარღვეულია საქ. ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის და 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.

ორგანიზაციის დასახელება	დარიცხული თანხა (ლარი)
შპს „ევროშენი“	732
შპს „NEW BUILDING“	10,006
ი.მ. მურმან ერქვანია	844
შპს „იბერიამშენი“	11,556
შპს „ივერია7“	1,439
შპს „სტანდარტ +“	653
შპს „ბერმუხა“	11,050
შპს „გიორგი“	1,040
შპს „ს.ე.ნ.“	70,287
შპს „NBG“	3,598,917
შპს „ნიუ კონსტრაქშენი“	924,747
შპს „ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“	856
შპს „ქართლი“	6,096
შპს „ტერმინალი“	3,837
სულ	4,642,062

- ბალანსის N1460 „მომუშავეების მიმართ მოთხოვნების“ ანგარიშზე წლის ბოლოს აღრიცხული ნაშთი კი - 3,590 ლარით ნაკლები თანხით უნდა იყოს წარდგენილი. ნაშთის კორექტირება (შემცირება) გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 2013 წელს „დევენილთა რეგისტრაციის პროგრამის“ ფარგლებში შტატგარეშე მოსამსახურეთა ქვეყნის შიგნით მივლინებისათვის მიღებული თანხებიდან მივლინებების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, წარმოიშვა ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხები, რომელიც სწორად არ აისახა ანგარიშგებაში.
 - „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად, 2014 წლის 1 მარტამდე სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ხდებოდა ორგანიზებულად განსახლებული ერთ დევნილის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფინანსება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოხმარებული ელექტროენერგიის თანხებს ურიცხავდა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას“, სს „თელასსა“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“.
- კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შემდეგ (2014 წლის 1 მარტი), საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ ენერგოკომპანიებთან არ გაფორმებულა საბოლოო ურთიერთშედარების აქტები. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ სამინისტროს წერილით აცნობა, რომ ერიცხებოდა გასულ წლებში დაგროვილი დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების ობიექტების საერთო ბარათებზე არსებული კრედიტორული დავალიანება 2014 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით 1,411,289 ლარის ოდენობით (1 სექტემბრამდე მოხმარებული

ელექტროენერგიის ჩათვლით). მთავრობის 2014 წლის 23 ოქტომბრის N1896 განკარგულების შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ ბიუჯეტი აღარ აფინანსებდა დევნილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს (2014 წლის 1 მარტიდან), აღნიშნული დავალიანებიდან გაიქვითა დევნილების დავალიანებები ენერგოკომპანიის მიმართ - 378,819 ლარის ოდენობით. დარჩენილი სხვაობა კი - **1,032,470 ლარის ოდენობით**, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ 2014 წლის დეკემბერსა და 2015 წლის იანვრის თვეში მიმართული იქნა **სახელმწიფო ბიუჯეტში**. გასულ წლებში გადარიცხულ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე სამინისტროს მხრიდან კონტროლის არარსებობის გამო, კომპანია ფინანსური რესურსების სახით იყენებდა საბიუჯეტო ასიგნებებს ყოველგვარი სარგებლის გადახდის გარეშე.

დანარჩენ ენერგო კომპანიებთან მიმართებით განხორციელებული ძირითადი აუდიტორული პროცედურების (გარე დადასტურება) შედეგად დადგინდა, რომ სს „თელასს“ დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტების საერთო ბარათებზე სამინისტროს მიმართ ერიცხება **86,315 ლარის** კრედიტორული დავალიანება. სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით კი ვერ ხდება ანალოგიური დავალიანების თანხების სისწორესა და სიზუსტეზე რწმუნების მიღება (საკითხი სამინისტროს მხრიდან საჭიროებს დამატებით შესწავლას).

გავლენა: სამინისტროს მიერ 2014 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების N1480 „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ საწყის ნაშთში არ არის აღრიცხული 3,156 ლარის, ხოლო წლის ბოლოს ნაშთში - 732,906 (4,037+642,554+86,315) ლარის მოთხოვნები. ასევე, 642,554 ლარით გაზრდილია ხარჯი (მ.შ. ფორმა N2-ში) და ზემოაღნიშნულის შედეგად კი შემცირებულად არის წარდგენილი „წმინდა ღირებულების“ საბალანსო ანგარიში 732,906 ლარით (მ.შ. ფორმა N3-ში).

ბალანსში აუსახავი მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებელაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმების და სანქციების თანხებით, შემცირებულად არის წარდგენილი N1354 „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ ანგარიშის წლის ბოლოს ნაშთი - 3,999,508 ლარის ოდენობით (4,642,062-642,554) და შედეგად, ასევე 3,999,508 ლარით შემცირებული - „წმინდა ღირებულების“ საბალანსო ანგარიში (მ.შ. ფორმა N3-ში).

N1460 „მომუშავეების მიმართ მოთხოვნების“ ანგარიშსა და N5100 „წმინდა ღირებულების“ ანგარიშების წლის ბოლოს აღრიცხული ნაშთი - 3,590 ლარით ნაკლები თანხით უნდა იყოს წარდგენილი.

3. ხარჯები

3.1 ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება:

- ნაერთ ბალანსში (გრანტის ნაწილში) „მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის“ N2120 საბალანსო ანგარიშზე აღრიცხულ აქტივებს არასწორად ერიცხებოდა ცვეთა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. აღნიშნულ აქტივებზე ყოველწლიურად დასარიცხი ცვეთის თანხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით¹⁰ და განსხვავებულია კოდექსით გათვალისწინებული ნორმებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის წლიური ცვეთის თანხა 661 ლარით არის შემცირებული.
- არასწორად არის დარიცხული ცვეთა (ორმაგი ოდენობით) არამატერიალურ ძირითად აქტივებზე და შესაბამისად - 5,285 ლარით არის შემცირებული N2132 საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთი.

გავლენა: ა) შემცირებულია არამატერიალური ძირითადი აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 5 285 ლარით; გაზრდილია ძირითადი აქტივების წლის ბოლოს ნაშთი „მანქანა-დანადგარების“ ნაწილში 661 ლარით; ბ) შემცირებულადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ საბოლოო ნაშთი 4,624 ლარით ბალანსსა და დანართი N3-ში; გ) „ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების შესახებ ანგარიშში“ (ფორმა N2) ხარჯები „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით გაზრდილია 4,624 ლარის ოდენობით.

3.2 ხარჯვითი ოპერაციის დროში არასწორად აღრიცხვა

ხარჯვითი ოპერაციების აღრიცხვაში ასახვის დრო განისაზღვრება დარიცხვის მეთოდით¹¹ და მიეკუთვნება იმ პერიოდის ხარჯს, რომელშიც გაიწია.¹²

გარემოება:

- არასწორად არის მიკუთვნებული და შესაბამისად აღიარებული 308,829 ლარის „სხვადასხვა კაპიტალური“ ხარჯები:

ექვემდებარებოდა ხარჯად აღიარებას	სამინისტროს მიერ ფაქტობრივად ხარჯად აღიარდა	კომპანიის დასახელება	თანხა
31.12.2013	04.02.2014	შ.პ.ს. "ს.ე.ნ."	130,896
31.12.2013	05.02.2014	შ.პ.ს. "ს.ე.ნ."	83,045
23.12.2013	15.04.2014	შპს "ემი"	3,117

¹⁰ საქ. ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანება.

¹¹ საქ. ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 38-ე მუხლის I პუნქტი.

¹² საქ. პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ზუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-7 მუხლი პირველი პუნქტი.

31.12.2013	10.02.2014	შ.პ.ს. "ს.ე.ნ."	78,585
29.12.2014	05.01.2015	შპს "ტაგრი"	4,437
27.11.2014	05.01.2015	შპს "New Building"	4,891
29.12.2014	05.01.2015	შპს "New Building"	3,858
			308,829

- 2013 წელს განხორციელებული „დევნილთა რეგისტრაციის პროგრამის“ ფარგლებში „ქვეყნის შიგნით მივლინებების“ ფაქტობრივი ხარჯები 297,217 ლარის ოდენობით, რომელიც მიეკუთვნება 2013 წელს, ხარჯად აღიარდა დაგვიანებით 2014 წელს და ისიც მხოლოდ 275,557 ლარის ოდენობით. სხვაობა თანხით 21,660 ლარის ფაქტობრივი ხარჯი აუდიტის პერიოდის ბოლო ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა: მოცემულ შემთხვევებში ხარჯების შესაბამის პერიოდებზე არასწორად მიკუთვნების შედეგად არ არის უზრუნველყოფილი „წმინდა ღირებულების“ ანგარიშის სიზუსტე.

3.3 მივლინებები

გარემოება: ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამივლინებო ხარჯების აუდიტით გამოვლინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფდა სამინისტროს მოსამსახურეთა მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯების სრულად¹³ დაფარვას, სამინისტროს მიერ კი ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდ, გაცემულია სადღეღამისო ნორმის თანხები; ასევე, როდესაც მიმღები მხარე უზრუნველყოფდა მიწვეულის კვების ხარჯების ანაზღაურებას, ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდ, სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%-ის ნაცვლად¹⁴, გაცემულია მისი სრული ოდენობა. 2014 წელს განხორციელდა იტალიაში სამინისტროს თანამშრომელთა მივლინება, რომელიც მოწვევის მიზნებიდან გამომდინარე არ იყო დაკავშირებული სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან და განსახორციელებელ ამოცანებთან და არ წარმოადგენდა სამსახურებრივი დავალების შესასრულებელ¹⁵ ვიზიტს (შესაბამისად მივლინებას სამინისტროსთვის არანაირი სარგებელი არ მოუტანია).

აუდიტით გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები: გადახდილი საბიუჯეტო სახსრებიდან - 1,167 ლარი არამიზნობრივი და არაეფექტიანი ხარჯია, ხოლო - 6,310 ლარი ნორმატიულ აქტთან შეუსაბამოდ, ზედმეტად ანაზღაურებული თანხა:

¹³ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების დანართი N1-ის მე-16 პუნქტი.

¹⁴ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების დანართი N1-ის მე-11 პუნქტი.

¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების დანართი N1-ის პირველი პუნქტი.

ბრძან.N და თარიღი	ქვეყანა	ქალაქი	ზედმეტად ანაზღაურებული	არამიზნობრივი მივლინების ხარჯი
N30-მ 21.02.2014	თურქეთი	სტამბული	555	
N33-მ 27.02.2014	პოლონეთი	ვარშავა	322	
N37-მ 10.03.2014	გერმანია	ნიურბერგი	823	
N37-მ 10.03.2014	გერმანია	ნიურბერგი	823	
N54-მ 01.04.2014	პორტუგალია	ლისაბონი	410	
N57-მ 04.04.2014	პოლონეთი	ვარშავა	453	
N57-მ 04.04.2014	პოლონეთი	ვარშავა	453	
N73-მ 07.05.2014	იტალია	ტარანტო	0	735
N73-მ 07.05.2014	იტალია	ტარანტო	0	432
N77-მ 08.05.2014	საფრანგეთი	სტრასბურგი	811	
N85-მ 23.05.2014	საბერძნეთი	ათენი	282	
N110-მ 17.06.2014	გერმანია	ბერლინი	410	
N134-მ 02.07.2014	თურქეთი	სტამბული	235	
N191-მ 18.09.2014	იტალია	რომი	284	
N204-მ 24.09.2014	სომხეთი	ერევანი	92	
N204-მ 24.09.2014	სომხეთი	ერევანი	92	
N297-მ 01.12.2014	ნიდერლანდები	ჰააგა	132	
N297-მ 01.12.2014	ნიდერლანდები	ჰააგა	132	
			6,310	1,167

გავლენა: აღნიშნული ნაკლოვანებები გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების „წმინდა ღირებულების“ ანგარიშზე - ამცირებს 7,477 (6,310+1,167) ლარით საბოლოო ნაშთს.

3.4 გადახდილი ფასის შესაბამისობა

გარემოება: სამინისტროს მიერ 2013 წლის 31 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი (SPA 130029265) - 2014 წლის განმავლობაში არაშეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით - სავარაუდო ღირებულებით 368,000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ: შპს „გრიფინი“-მა და შპს „დაცვის სამსახური მგლებმა“. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა ცენტრალური აპარატის შენობის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა საცხოვრებელი კორპუსის, აპლიკაციების შესავსები ცენტრისა და ასევე ქ.თბილისში და საქართველოს რეგიონებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით რეაბილიტირებული ობიექტების სარემონტო სამუშაოების დასრულებიდან დევნილთა ოჯახების შესახლების პროცესის განმავლობაში 24 სავარაუდო ობიექტზე არაშეიარაღებული დაცვის მომსახურება. ზემოაღნიშნულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად შპს „გრიფინი“-ის მიერ საბოლოოდ შეთავაზებული იქნა - 345,450 ლარი, ხოლო შპს „დაცვის

სამსახური მგლები“-ს მიერ - 210,150 ლარი; შეთავაზებებს შორის სხვაობამ 135,300 ლარი შეადგინა.

2014 წლის 27 იანვარს¹⁶ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერი შეწყდა იმ მოტივით (ტენდერის სატატუსი იყო „წინადადებების მიღება დასრულებულია“), რომ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტების რაოდენობა გაზრდილია, რაც გამოიწვევდა დაცვის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდას, ხოლო ტენდერის სტატუსიდან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება შეუძლებელი იყო.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე (არსებულ კონტრაქტებს ვადა გაუვიდა, ხოლო გამოცხადებული ტენდერი შეწყდა), 2014 წლის თებერვლის თვის დაცვის მომსახურების შესასყიდად სამინისტრომ გამარტივებული შესყიდვის წესით გააფორმა ხელშეკრულება შპს „გრიფინი“ +“-სთან 46 350 ლარის ოდენობით¹⁷. სამინისტროსთვის ამ დროს უკვე ცნობილი იყო, რომ ანალოგიური მომსახურების გაწევა შეეძლო უფრო დაბალ ფასად შპს „დაცვის სამსახური მგლები“-ს (მას ზემოაღნიშნულ ტენდერში შპს „გრიფინი“ +“-სთან შეადრებით დაბალი ფასები ჰქონდა წარდგენილი). აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა რაიმე სახის მტკიცებულება მოცემული გადაწყვეტილების დასაბუთების თაობაზე.

2014 წლის 30 იანვარს დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით სამინისტროს მიერ განმეორებით გამოცხადდა (SPA 140002957) ტენდერი. მოცემულ შემთხვევაში დასაცავი ობიექტების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვრა 41 ერთეულით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „გრიფინი“ +“-მა და სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება¹⁸. მოცემული კონტრაქტთან დაკავშირებული საშემსყიდველო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლით აუდიტის ჯგუფმა დაადგინა მაღალი რისკის შემცველი გარემოებები:

- ხელშეკრულებით არ იყო იდენტიფიცირებული სავარაუდო დასაცავი ობიექტები და კონკრეტულ ობიექტებზე დაცვის წევრთა საჭირო რაოდენობები (რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა მახასიათებელზე). სამინისტრომ აუდიტის ჯგუფს ვერ წარუდგინა დოკუმენტური მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ რა სახით ხდებოდა შპს „გრიფინი“ +“-სა და სამინისტროს შორის შეთანხმება დასაცავი ობიექტების მიხედვით დაცვის წევრთა საჭირო რაოდენობების შესახებ, რადგან ფაქტობრივად თანხების ანაზღაურება მიბმული იყო ამ რაოდენობების მიხედვით. სამინისტროში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების კონტროლის (ინსპექტირების) ანგარიშები არ არის შედგენილი. აქედან გამომდინარე, ხდებოდა თუ არა ფაქტობრივად მიღება/ჩაბარების აქტებში დასაცავი ობიექტების მიხედვით დაფიქსირებული დაცვის წევრთა რაოდენობების მიერ დაცვის მომსახურების გაწევა, დოკუმენტურად არ დასტურდება;

¹⁶ სატენდერო კომისიის 2014 წლის 27 იანვრის სხდომის N3 ოქმი.

¹⁷ N2288/0851/5085/1 06.02.2014 წ.

¹⁸ N2288/0851/5085/2 05.03.2014 წ.

- შპს „გრიფინი“-ის მიერ დაცვის მომსახურების გაწევა რეაბილიტირებულ ობიექტებში ხდებოდა სარემონტო სამუშაოების დასრულებიდან დევნილთა ოჯახების შესახლების პროცესის განმავლობაში *(რომელიც აუდიტის ობიექტზე წარმოდგენილი ცნობის შესაბამისად გრძელდებოდა რამოდენიმე თვის მანძილზე)*. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რეაბილიტირებულ შენობებში ოჯახების ნაწილი უკვე შესახლებული იყო და დასაცავი ბინების რაოდენობებიც შესაბამისად მცირდებოდა, ლოგიკურად დაცვის წევრთა ნაკლები რაოდენობები გახდებოდა შესაბამის პერიოდში საჭირო. სამინისტროს მიერ არ ხდებოდა აღნიშნულ პროცესის ინსპექტირება და ანგარიშსწორება ხორციელდებოდა თავდაპირველი რაოდენობების შესაბამისად;
- 2014 წლის განმავლობაში შპს „გრიფინი“- ახორციელებდა ისეთი ობიექტის დაცვას *(ქ. ხაშურში საავადმყოფოს შენობა)*, რომელიც არ იყო არც რეაბილიტირებული და არც დევნილთა შესახლების ობიექტი;
- აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის *(საგადასახადო ა/ფაქტურები, მიღება-ჩაბარების აქტები)* შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „გრიფინი“-ის მიერ ფაქტობრივად დაცვის მომსახურება გაწეულ იქნა მხოლოდ **22** ობიექტზე *(ნაცვლად გაცხადებული 41 ობიექტისა)*.

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებით დადგინდა, რომ ელ. ტენდერი(**SPA 130029265**) შეწყდა დაუსაბუთებელი მიზეზით და შესადარის ინფორმაციის „ექვივალენტურობის“ პირობით აღნიშნული მომსახურებაზე სამინისტროს, შპს „დაცვის სამსახურის მგლების“ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების პირობებით, შეეძლო **195,566 ლარის** ლარით ნაკლები ხარჯი გაეწია.

გავლენა: 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, 195,566 ლარით ხარჯების გაზრდის შედეგად, შემცირებულად არის წარდგენილი N5100 „წმინდა ღირებულების“ საბალანსო ანგარიში(ასევე დანართი N3-ში).

3.5 კომუნალური ხარჯები

გარემოება: 2014 წლის შესახებ „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად, 2014 წლის 1 მარტამდე სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებიდან ფინანსდებოდა ორგანიზებულად განსახლებული ერთი დევნილის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის და ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (მ.შ. მოხმარებული წყლის, ნარჩენების გატანის, ასენიზაციის და დეზინფექცია-დერატიზაციის).

აუდიტორული პროცედურების განხორციელებით (ტესტირებისას) გამოვლინდა, რომ სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ქ. ზუგდიდში ერთი და იგივე

ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებში ერთსა და იმავე მომსახურებაზე, რომელიც შეეხებოდა ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ მომსახურებას, გაფორმებულია ხელშეკრულებები (გამარტივებული შესყიდვის ფორმით) ორ კომპანიასთან: შპს „ბერმუხა-09“¹⁹ და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“²⁰.

კომპაქტურად ჩასახლების ობიექტი	მისამართი		დასაბრუნებელი თანხები		
			შპს "გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	შპს "ბერმუხა- 09"	სულ
კარავი	ქ.ზუგდიდი ჭავჭავაძის ქუჩა	კანალიზირებული		127.50	127.50
პროფესიული სასწავლებელი	ქ.ზუგდიდი კრილოვის N3	არაკანალიზირებული	150.15		150.15
ს/ბაღი 3	ქ.ზუგდიდი კ.გამსახურდიას N89	არაკანალიზირებული	27.72		27.72
სანერგე მეურნეობა	ქ.ზუგდიდი ჭავჭავაძის ქუჩა	არაკანალიზირებული	68.92		68.92
ჩაის ფილალი	ქ.ზუგდიდი თბილისის ქ.N43	არაკანალიზირებული	40.04		40.04
			286.83	127.50	414.33

გავლენა: აღნიშნულიდან გამომდინარე, გაზრდილია ხარჯი 414 ლარით, რის შედეგად შემცირებულია „წმინდა ღირებულების“ საბოლოო ნაშთი. დუბლირებულ მომსახურებაზე კომპანიებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორმაგად გადახდილი საბიუჯეტო სახსრები, ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას სულ - 414 ლარის ოდენობით; შესაბამისად, ორგანიზაციების მიხედვით: შპს „ბერმუხა-09“ – 127.50 ლარი, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ – 286.83 ლარი.

4.არასწორი კლასიფიკაცია

გარემოება: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის N1846 განკარგულების საფუძველზე - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა 2014-2015 წლების ზამთრის სეზონზე სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, „სოციალური დახმარების“ მუხლით - სამინისტროს მიერ სს „ლიბერთი ბანკში“ 2014 წლის 3 ნოემბერს გადარიცხული 4,393,188.8 ლარი

¹⁹ N2295/8 06.02.2014 წელი.

²⁰ N2295/26 14.03.2014 წელი.

გადარიცხვისთანავე აღიარებულია ხარჯად. ხარჯვითი ოპერაციის აღრიცხვაში ასახვის დრო განისაზღვრება დარიცხვის მეთოდით²¹. ეს არის დრო, როდესაც განხორციელებულ საქმიანობათა, ოპერაციათა თუ სხვა სახის ღონისძიებათა შედეგად, სახელმწიფო მმართველობის ერთეულებს ექმნებათ უპირობო ვალდებულება, აწარმოონ გადახდები ან სხვა სახით გასცენ თავიანთი რესურსი²². მოცემულ შემთხვევაში მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების მე-4 პუნქტის და მოცემული განკარგულების საფუძველზე საბანკო მომსახურების შესახებ სამინისტროსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის 2014 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N5085/189 ხელშეკრულების 2.2.9 ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილთა სოციალურად დაუცველი ოჯახები ელექტრონულ ბარათებს, რომელზედაც ჯამურად დარიცხული იქნება 200 ლარის ლიმიტი მიიღებენ 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე, ნებისმიერ დროს. 2015 წლის 1 მარტიდან შესაბამისი ელექტრონული ბარათები არ გაიცემა და სს „ლიბერთი ბანკი“ გაუცემელ ელექტრონულ ბარათებზე დარიცხული გამოუყენებელ თანხას აბრუნებს სახელმწიფო ხაზინაში. ე.ი. ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის, ხარჯვითი ოპერაციის განხორციელების მომენტი არის არა სამინისტროს მიერ ბანკის ანგარიშზე გადარიცხვის თარიღი, არამედ დევნილთა ოჯახის უზუცესი წევრის მიერ ელექტრონული ბარათის მიღების მომენტი. სწორედ მოცემულ მომენტში დგება სამინისტროს მხრიდან ბანკის, როგორც აგენტის მეშვეობით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში დევნილი ოჯახის მიერ გახარჯული ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების უპირობო ვალდებულება. სამინისტროსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებული შედარების აქტების საფუძველზე დგინდება გაცემული ელექტრონული ბარათების მიხედვით „სოციალური დახმარების“ მუხლით გაწეული ხარჯის და გაუცემელი ელ. ბარათების მიხედვით გამოუყენებელი თანხის ოდენობა. შედარების აქტი შედგენილია 2015 წლის 2 მარტს.

გავლენა: აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კაპიტალის წმინდა ღირებულების“ და „მოთხოვნების“ საბალანსო ანგარიშების ნაშთების სიზუსტის შესახებ.

5.პირობითი აქტივები

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ივლისის N700 განკარგულების საფუძველზე სამინისტრომ ააიბ „Georgian investment group“-თან 2013 წლის 10 ივლისს გააფორმა გრანტის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა - „Georgian investment group“ სამინისტროს გადასცემდა გრანტის სახით **487,500,000 ლარს** - დევნილთათვის საცხოვრებელი სახლებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისათვის შემდეგი ქალაქების მიხედვით:

²¹ საქ. ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 38-ე მუხლის I პუნქტის მოთხოვნები.

²² სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს მე-6 თავის პუნქტი 6.6.

		ბინების რ-ბა	დაფინანსების თანხა
ქ. თბილისი	16 ოცდამეცხრეულიანი	4,498	213,000,000
ქ. თბილისი	8 ოცდამეცხრეულიანი	2,088	117,000,000
ქ. ბათუმი	8 თექვსმეტსართულიანი	2,170	157,500,000
ქ. ბათუმი	19 თერთმეტსართულიანი		
		8,756	487,500,000

საგრანტო ხელშეკრულების 2.1.2 პუნქტით ააიპ „Georgian investment group“ ვალდებული იყო სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ, არაუმეტეს 90 დღის ვადაში სამინისტროსათვის სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე გადაერიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ეტაპის თანხა (162,500,000 ლარი). სამინისტრომ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ:

1. ხელშეკრულების 4.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ფინანსთა სამინისტრომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შუამდგომლობის²³ საფუძველზე, 2014 წლის 14 იანვარს ააიპ „Georgian investment group“-ს გაუგზავნა წერილი²⁴, რომლის თანახმადაც ფინანსთა სამინისტრო მთავრობის სახელით ადასტურებდა, რომ თუ მოხდებოდა გრანტის ხელშეკრულების პირობების დარღვევა და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხული სახსრების არამიზნობრივად გამოყენება, გრანტის გამცემს აუნაზღაურებდა არამიზნობრივად გახარჯულ თანხებს.

2. ხელშეკრულების 2.1.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით 2013 წელს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ, შესაბამისი წერილების²⁵ თანახმად გაიცა თანხმობები დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის თაობაზე შემდეგი ტერიტორიების მიხედვით:

ქალაქი	ობიექტის მისამართი	მიწის საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი კვ.მ.
თბილისი	თვალჭრელიძის ქ. N2-ის მიმდებარედ ნაკვეთი 08/032	N01.19.19.009.037	60,000
თბილისი	კრწანისი	N01.18.13.049.005	47,002
ბათუმი	ყოფილი "ბითმაჟის" ტერიტორია (II ნაკვეთი)	N05.30.31.010	60,616

3. ხელშეკრულების 2.2.3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით სამინისტრომ კონკურსის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულებები კომპანიებთან ზემოაღნიშნული პროექტებისათვის გათვალისწინებულ განაშენიანების გენერალური გეგმისა და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, რაშიც გადახდილ იქნა საბიუჯეტო სახსრები:

²³ სამინისტროს 2014 წლის 3 იანვრის N02/01-11/55570 წერილი.

²⁴ N04-01/1296 13.01.2014 წელი.

²⁵ N6/1622 14.06.2013 წელი; N6/23355 08.08.2013 წელი; N6/23474 09.08.2013 წელი.

ქალაქი	ობიექტის მისამართი	მიწის საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი კვ.მ.	კომპანიის დასახელება	გადახდილი თანხა
თბილისი	თვალჭრელიძის ქ. N2-ის მიმდებარედ	N01.19.19.009.037	60,000	შპს "Georgianhouse"	262,000
თბილისი	კრწანისი	N01.18.13.049.005	47,002	შპს "Georgianhouse"	179,000
ბათუმი	ყოფილი "ბითმაჟის" ტერიტორია	N05.30.31.010	60,616	შპს "ესსა"	156,000
					597,000

მიუხედავად სამინისტროს მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა, ააიპ „Georgian investment group“-ის მიერ სახაზინო ანგარიშზე ხელშეკრულებით დათქმულ ვადებში პირველი ეტაპით გათვალისწინებული თანხა არ ჩაირიცხა. 2014 წლის 30 აპრილს სამინისტრომ ფონდს აცნობა²⁶, რომ ცალმხრივად წყვეტდა მათთან 2013 წლის 10 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებას და 2014 წლის 2 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში - ადმინისტრაციულ საქმეზე. სასარჩელო განცხადების თანახმად, სამინისტრომ ფონდისგან ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად მოითხოვა პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების - 487,500,000 ლარის და ზიანის ანაზღაურება - 574,000 ლარის ოდენობით. ჯამში **სულ - 488,074,000 ლარის ანაზღაურება.**

გავლენა: სამინისტროს მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის (ბალანსის) საცნობარო მუხლში ასახული არ აქვს **488,074,000 ლარის პირობითი აქტივები.**

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ბუღალტრულ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს.

²⁶ N02/01-11/9823 30.04.2014 წელი.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების აზრები

1. სახელმწიფო შესყიდვები

დევენილთა განსახლების მიზნით ბინების შესყიდვა

სამინისტრომ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით ქ. თბილისში, კრწანისის დასახლებაში მიმდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.13.049.005) საცხოვრებელი კომპლექსის „კრწანისი 1“-ის (4 ოცდაორ სართულიანი კორპუსი, ბინების რაოდენობა - 1032, საერთო ფართი - 55,059 კვ.მ.) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 28 აპრილს გამოაცხადა ელ. ტენდერი. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 56,573,986 ლარს, ხოლო მიწოდების ვადა - 2016 წლის 31 აგვისტო. მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მოამზადა შპს „Georgianhouse“-მა, რაშიც სამინისტროს მიერ **გადახდილ იქნა 179,000 ლარი**. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 5 კომპანიამ და ვაჭრობის შემდეგ შეთავაზებული საბოლოო ფასებმა შეადგინა:

		საბოლოო შეთავაზება ლარი	ფართობი კვ. მეტრი	1 კვ. მ. ფასი-ლარი	1 კვ. მ. ფასი- დოლარი 29.04.2014 კურსით
1	სს "Hualing international special economic zone"	53,723,986	55,059	976	552
2	შპს "ანაგი"	50,148,000	55,059	911	516
3	შპს ფარინ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთ-ის (FARRIN YOL YAPI INSAAT VE TICARET LIMITED SIRKETI) თბილისის ფილიალი	48,190,000	55,059	875	495
4	შპს "დაგი"	48,189,000	55,059	875	495
5	თურქული კომპანია TAŞKENT İNŞAAT SANAYİ VE TİCARET A.Ş.	46,969,189	55,059	853	483

პრემიერ-მინისტრთან არსებულმა ეკონომიკურმა საბჭომ²⁷ (შემდგომში ეკონომიკური საბჭო) სამინისტროს აცნობა, რომ 16 მაისის საბჭოს სხდომაზე წარდგენილი იყო ინიციატივა დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მიზნით მენაშენებლისგან საცხოვრებელი ბინების შეძენის პროექტის თაობაზე. აღნიშნული მიზეზით სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერი ჯერ შეჩერდა (10 ივნისს), ხოლო 17 სექტემბერს - შეწყდა. საბჭოში გამართული სამუშაო შეხვედრებისა (რომელშიც ჩართული იყო სამინისტრო) და საკითხზე შეჯერებული პოზიციის შემუშავების შემდეგ, დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველსაყოფად გადაწყდა მენაშენებლისგან საცხოვრებელი ბინების შეძენა. სამინისტრომ დავალების შესაბამისად, ეკონომიკურ საბჭოს წარუდგინა ინფორმაცია დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, კერძოდ: ჩინური კომპანია „ხუალინგ ჯგუფისგან“ - თბილისის ზღვის მიმდებარე

²⁷ 2014 წლის 27 მაისის N17493 წერილი.

ტერიტორიაზე (1 კვ.მ. მზა სასარგებლო ფართის ღირებულება - 540 აშშ დოლარი) და შპს „ლიტ ჯეო ინვესტი“ - თბილისში, ცოტნე დადიანის ქ. N7-ში მშენებარე მრავალბინიან კორპუსში (1 კვ.მ. – 580 აშშ დოლარი) ბინების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე²⁸ მოწონებულ იქნა სამინისტროს მიერ წარდგენილი ინფორმაცია - ჩინური კომპანია „ხუალინგ ჯგუფისგან“ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში დევნილთათვის საცხოვრებელი ბინების გამოსყიდვის თაობაზე. წლის ბოლოს სამინისტრომ გააფორმა ხელშეკრულებები ჩინურ კომპანია „ხუალინგ ჯგუფთან“:

	ხელშეკრულების N	ხელშ. გაფორმების თარიღი	შეძენილი ფართობი კვ.მ.	სახელშეკრულებო ღირებულება (დოლარი)	1 კვ. მ. ღირ-ბა დოლარი	აშშ დოლარის კურსი ხელმოწერისას	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)
1	340202/05	14.11.2014	13,721	7,271,918	530	1.7652	12,836,390
2	340202/026	10.12.2014	5,389	2,829,015	525	1.9265	5,450,097
3	340202/039	24.12.2014	18,125	9,425,000	520	1.8978	17,886,765
			37,234	19,525,933	524		36,173,252

სამინისტრომ აღნიშნული კონტრაქტების ფარგლებში შეიძინა 8 კორპუსში განთავსებული ბინები: რაოდენობა - 598 ბინა, საერთო ფართობი - 37,234 კვ.მ. ხელშეკრულებების თანახმად ბინების საბოლოო ჩაბარების ვადა არის 2016 წლის 30 ივნისი.

2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამინისტრომ განახორციელა წინასწარი გადარიცხვები 16,160,791 ლარის ოდენობით.

შპს „NBG“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება

სამინისტროს მიერ ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი N14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი საავადმყოფო) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების მიზნით, 2014 წლის 10 იანვარს გამოცხადებულ ელ. ტენდერში (SPA140000692) ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა კომპანია შპს „NBG“-მ, რომლის სატენდერო წინადადების ღირებულება შეადგენდა 1,100,000 ლარს. მოცემულ კონტრაქტთან დაკავშირებული საშემსყიდველო და სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მაღალი რისკის შემცველი გარემოებები:

- წინასწარი ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არ აღემატებოდა 30 დღით ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- ხელშეკრულების 6.3.1 პუნქტის შესაბამისად, საავანსო გადახდა შესაძლებელი იქნებოდა, საერთო სახელშეკრულებო ფასის 25 %-მდე, ხოლო დარჩენილი

²⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 სექტემბრის N32 სხდომა.

სამუშაოების ღირებულების გადახდა მოხდებოდა ეტაპობრივად (საავანსო თანხების გამოქვითვის გარეშე) შესრულებული სამუშაოების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ღირებულების 25% - 275,000 ლარის ოდენობით სამინისტრომ წინასწარ გადაურიცხა კომპანიას 21 მარტს. ხოლო შემდგომ ეტაპობრივად, მიღება/ჩაბარების აქტების საფუძველზე - 819,959 ლარი. სულ 1,094,962 ლარი. ხელშეკრულების მოცემული პირობა წარმოშობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკს, კერძოდ მოცემული საკანონმდებლო ნორმის შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად. ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით ანგარიშსწორება საავანსო თანხების გამოქვითვის გარეშე, როდესაც შემსყიდველის მხრიდან არ არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფის საიმედო კონტროლის მექანიზმი, წინასწარ ანგარიშსწორებას აცლის ეკონომიკურ საფუძველს და ზრდის თაღლითობის რისკს. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოება, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში კონტრაქტორის მიერ რეალურად შესრულებულ იქნა მხოლოდ 177,408 ლარის ღირებულების სამუშაო და ისიც უხარისხოდ - 2014 წლის 20 დეკემბერს სარეაბილიტაციო შენობის კედელი ჩამოინგრა.

შპს „NBG“-მის მიმართ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე დიდი ოდენობით ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისებასთან დაკავშირებით.

შპს „ნიუ ბილდინგ“-თან თანაგადახდის ხელშეკრულებები

2014 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე სამინისტროსა და შპს „ნიუ ბილდინგ“-ს შორის გაფორმდა 11 ხელშეკრულება²⁹ საერთო თანხით - 58,712 ლარი, რომელთა დაფინანსებას სამინისტრო უზრუნველყოფდა ნაწილობრივ³⁰, გამგეობებთან ერთად თანაგადახდის პრინციპით პროცენტული წილის შესაბამისად. კომპანიამ ნაკისრი

²⁹ ხელშეკრულებებია: 5085/27,5085/49,5085/59,5085/60,5085/61,5085/62,5085/63,5085/64,5085/71,5085/76,5085/174.

³⁰ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

ვალდებულებები რიგი ხელშეკრულებების მიხედვით შეასრულა არასრულად/არაჯეროვნად. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელშეკრულებების უმეტეს ნაწილში, სამუშაოს ვადაგადაცილებით შესრულების გამო, კომპანიას დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო - 10,006 ლარის ოდენობით. ამასთან, შპს „ნიუ ბილდინგი“ წარმოადგენს სამინისტროს დებიტორს ავანსად მიღებულ თანხებსა და ექსპერტიზის დასკვნით გამოვლენილ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს ღირებულებას შორის სხვაობით წარმოქმნილი თანხების ნაწილში - 1,152 ლარის ოდენობით; ავანსად მიღებულ თანხებსა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების ნაწილში კი - 38,568 ლარის ოდენობით.

2014 წლის განმავლობაში შპს „ნიუ ბილდინგ“-თან ხელშეკრულებები გაფორმებულია გარკვეული ინტერვალებით; შესაბამისად, სამინისტროსათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე. წარმოქმნილი პრობლემატური საკითხები და მისი შინაარსი დასტურდება დოკუმენტური მტკიცებულებებით: სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათებით და კომპანიასთან წარმოებული მიმოწერით. კომპანიასთან 2014 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის პირობა იყო სრული საავანსო ანგარიშსწორება - 11,149 ლარის ოდენობით (გადარიცხულია 23.10.2014). ამ შემთხვევაშიც, შპს „ნიუ ბილდინგ“-მა ნაწილობრივ ვერ შეასრულა სახელმშეკრულებო ვალდებულება (ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შესრულებულია მხოლოდ 1,565 ლარის ღირებულების სამუშაო); შესაბამისად, სამინისტრომ - 9,584 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართა ხელშეკრულების ავანსის გარანტიის გამცემ სადაზღვევო კომპანია „უნიონს“. აუდიტის პერიოდში სადაზღვევოს მიერ თანხა არ ანაზღაურებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების 24 მუხლის 1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად³¹, კომპანიის სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“-ს შავი სიის რეესტრში შეყვანის საკითხი სამინისტროს მხრიდან დადგა დაგვიანებით 2015 წლის 17 მარტს.

³¹ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, პრეტენდენტის/მიმწოდებლის, შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ არსებობს შემდეგი გარემოება - „მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო”.

2.წინასწარი ანგარიშსწორება

აუდირებული წელი ხასიათდება გამოყოფილი წლიური საბიუჯეტო ასიგნებების არსებითი ნაწილის წლის ბოლოს ათვისება-ხარჯვით, განხორციელდა კომპანიებზე წინასწარი გადარიცხვები, რის შედეგადაც წლის ბოლოს მნიშვნელოვნად გაიზარდა დებიტორული დავალიანება.

კომპანიის დასახელება	თანხა	ეკ. კლ. მუხლი
სს „Hualing international special economic zone“	16,160,791	არაფინ. აქტივების შეძენა
შპს „ს.ე.ნ.“	2,852,527	კაპიტალური ხარჯი
შპს „ივერია 7“	216,111	კაპიტალური ხარჯი
შპს „ტერმინალი“	167,111	კაპიტალური ხარჯი
შპს „ელექტრო კომფორტი“	16,604	კაპიტალური ხარჯი
შპს „თიდა“	88,256	არაფინანსური და ოფისის ხარჯი
შპს „იბერიამშენი“	39,570	კაპიტალური ხარჯი

2014 წელს სამინისტროს მიერ დეკემბრის თვეში გაწეული საკასო ხარჯი არსებითად აღემატება გასული 11 თვის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც ხარჯების ჯამურ მოცულობასთან მიმართებით შეადგენს 635%-ს. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია შემდეგი კომპონენტებით: სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები - 1211%, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები - 1631%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 554%. მსგავსი ტენდენციით ხასიათდება არაფინანსური აქტივების მუხლით დეკემბრის თვეში გადარიცხული საბიუჯეტო სახსრებიც, რომელიც გასულ 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შეადგენს 924%-ს. აღნიშნული მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

	11 თვის საშუალო (ლარი)	დეკემბერი (ლარი)	დეკემბერი/11 თვის საშუალო
ხარჯები (ჯამური)	1,679,059	10,667,808	635%
შრომის ანაზღაურება	337,281	673,529	200%
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	57,277	216,876	379%
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	64,928	359,945	554%
სოციალური უზრუნველყოფა	540,356	2,231,700	413%
სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	45,630	552,610	1211%
სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები	389,407	6,349,869	1631%
არაფინანსური აქტივების ზრდა	990,912	9,154,310	924%

აუდიტის ჯგუფმა წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ მიიღო სათანადო რწმუნება, წლის ბოლოს წინასწარი გადახდების დასაბუთების შესახებ. მოცემული გარემოება

გამოწვეულია წლიური საბიუჯეტო ასიგნებების ათვისების მაჩვენებლის გაზრდის მოტივით.

3. დევნილთა გამოზამთრება

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის N1846 განკარგულების საფუძველზე - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა 2014-2015 წლების ზამთრის სეზონზე სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, „სოციალური დახმარების“ მუხლით - სამინისტრომ სს „ლიბერთი ბანკში“ 2014 წლის 3 ნოემბერს გადარიცხა 4,393,188.8 ლარი. მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების მე-4 პუნქტის და მოცემული განკარგულების საფუძველზე საბანკო მომსახურების შესახებ სამინისტროსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის 2014 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული N5085/189 ხელშეკრულების 2.2.9 ქვეპუნქტის შესაბამისად, დევნილთა სოციალურად დაუცველი ოჯახები ელექტრონულ ბარათებს, რომელზედაც ჯამურად დარიცხული იქნება 200 ლარის ლიმიტი მიიღებენ 2014 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე, ნებისმიერ დროს. 2015 წლის 1 მარტიდან შესაბამისი ელექტრონული ბარათები არ გაიცემა და სს „ლიბერთი ბანკი“ გაუცემელ ელექტრონულ ბარათებზე დარიცხული გამოუყენებელ თანხას აბრუნებს სახელმწიფო ხაზინაში. სამინისტროსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებული შედარების აქტების საფუძველზე დგინდება გაცემული ელექტრონული ბარათების მიხედვით „სოციალური დახმარების“ მუხლით გაწეული ხარჯის და გაუცემელი ელ. ბარათების მიხედვით გამოუყენებელი თანხის ოდენობა. შედარების აქტი შედგენილია 2015 წლის 2 მარტს, რის შემდეგაც მთავრობის განკარგულების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას დაექვემდებარა უმწეო დევნილი ოჯახების მიერ (6 516 ოჯახი) მიუღებელი თანხა - 1,307,000 ლარი (ასევე შესაბამისი მომსახურების %-1,307ლარი). აღნიშნული თანხა 1,308,307 ლარი ბანკის მიერ დაბრუნდა 2015 წლის 12 მარტს. მეორე წელია სს „ლიბერთი ბანკი“, კომერციული დაწესებულება *(ანალოგიური მიზნებისათვის გასულ წელსაც გადარიცხული თანხიდან დააბრუნა 1,321,000 ლარი)*, ყოველგვარი სარგებლისა და პროცენტების გარეშე სარგებლობს საბიუჯეტო ფინანსური რესურსებით. ამასთან, სამინისტროში აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა სარწმუნო მტკიცებულება იმის შესახებ, რომ თუ ბენეფიციართა თითქმის 30%-მა რატომ არ/ვერ ისარგებლა ზემოაღნიშნული პროექტით და უკვე ორი წლის განმავლობაში 3 652 ერთიდაიგივე უმწეო დევნილი ოჯახი რატომ არ/ვერ სარგებლობს სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი დახმარებით.

4.კრედიტორული დავალიანებები


კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი შეადგენს 4,794,209 ლარს. წლის განმავლობაში წარმოიქმნა 41,342 ლარის ვალდებულებები. საბოლოო ნაშთი შემცირდა და შეადგინა - 4,659,890 ლარი. აღნიშნული ვალდებულებების არსებითი ნაწილი 1996-2004 წლებში წარმოქმნილი დავალიანებებია, საიდანაც - 4,156,512 ლარი წარმოადგენს „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით წარმოქმნილ გაუშიფრავ კრედიტორულ დავალიანებას (გაურკვეველია მომწოდებელთა დასახელება).

5.შეუსაბამოები პირველად სააღრიცხვო რეგისტრებსა და ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს შორის


ფინანსური ანგარიშგების დანართი „ფორმა 2“ სხვადასხვა ხარჯების „კაპიტალური ხარჯის“ ნაწილში სწორად არ ასახავდა სააღრიცხვო უწყისებში (ბრუნვათა უწყისი) აღრიცხულ მონაცემებს. ფაქტობრივი ხარჯი 2,194,703 ლარით (კოდები: 340201 და 340202) ნაკლები თანხით იყო წარდგენილი. ასევე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების (ფორმა 1) საცნობარო მუხლში ასახული „ამორტიზებული ძირითადი აქტივების“ წლის ბოლოს ნაშთი წარდგენილი იყო - 485,558 ლარით შემცირებული თანხით. აღნიშნული ნაკლოვანებები აუდიტის პროცესში შესწორდა, რაზედაც წარდგენილი იქნა დაზუსტებული ფორმები.

6.ევროკავშირიდან მიღებული ფინანსური დახმარება

საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2012 წლის 9 ოქტომბერს გაფორმდა ფინანსური შეთანხმება - „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისა და მასპინძელ თემთა მხარდაჭერა საქართველოში“ - პროგრამის ბენეფიციარია საქართველოს მთავრობა. მისი მიზნებია უზრუნველყოს კონფლიქტის ზონიდან გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და მათი ეკონომიური შესაძლებლობების გაუმჯობესება. პროგრამის სრული ღირებულება არის 19 მლნ ევრო. საიდანაც, ბიუჯეტის დახმარების სახით-სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერა (ცენტრალიზებული პირდაპირი მართვა)-10 მილიონი ევრო, 9 მილიონი ევრო კი არის გრანტის სახით დამატებითი დახმარება.



ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ სხვადასხვა უწყებები (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მუნიციპალური განვითარების ფონდი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სხვ). განსაზღვრული იყო შესრულების ვადები: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 72 თვე. ამათგან 48 თვე - ოპერაციების განხორციელების ფაზა და 24 თვე - დამასრულებელი ფაზა. საბიუჯეტო დახმარება 10 მლნ ევრო წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:



წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პირველი ტრანში 10 მლნ ევროდან, საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე ჩაირიცხა ხელშეკრულების ხელმოწერის წელს - 2012 წლის 31 დეკემბერს 1,999,888 ევროს ოდენობით, რომელიც 2013 წლის 3 იანვარს კონვერტირდა (კურსი 2.1845) და შეადგინა 4,368,755.34 ლარი და აისახა სახელმწიფო ბიუჯეტში. ხელშეკრულების დანართის თანახმად, ეს იყო უპირობო, ფიქსირებული ტრანში.

მეორე და მესამე ტრანშები (თითოეული 4 მლნ ევროს ოდენობით) წარმოადგენდნენ პირობით, ცვლად ტრანშებს, რომელიც ჩამოირიცხებოდა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ. მეორე დახმარება ბიუჯეტს უნდა მიეღო 2014 წელს, მესამე - 2015 წელს. საქართველოს მხრიდან გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო, 2014 წელს გამოყოფილი 4 მლნ ევროდან, ევროკავშირის მიერ გადმოირიცხა მხოლოდ ნაწილი - 2,750,000 ევრო. პირობები, რომელთა შესრულებაც სამინისტროს მიერ სრულად ვერ მოხდა არის შემდეგი:

- სამინისტროს ნგრევადი კოლექტიური ცენტრებიდან უნდა გადაეყვანა 250 დევნილი ოჯახი. აღნიშნულიდან მოხდა მხოლოდ 181 ოჯახის გადაყვანა (ხელშეკრულების პირობა N1.1)
- სამინისტროს უნდა შეემუშავებინა გასაჩივრების მექანიზმები დევნილი ბენეფიციარებისთვის;
- ხელშეკრულება ითვალისწინებდა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის შესახებ სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მის დამტკიცებას მთავრობის მიერ, ასევე დოკუმენტში შეტანილი თანხები უნდა ასახულიყო სამინისტროს ბიუჯეტში;

ევროკავშირის რეკომენდაციით ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, დარჩენილი 1,250,000 ევროს გადმორიცხვა გადაიხდება 2015 წელს გათვალისწინებული თანხების გადახდების დროს.

ფინანსური შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N144 დადგენილებით შეიქმნა სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, რომლის მიზანი იყო ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ევროკავშირიდან მისაღები დამატებითი დახმარების ფარგლებში გამოყოფილი 9 მლნ ევროდან, 5 მლნ ევრო უნდა მიეღო სამინისტროს კონტროლისა და ზედამხედველობით შექმნილ აღნიშნულ სსიპ-ს. 2014 წლის განმავლობაში სააგენტოს თავისი ფუნქციები არ შეუსრულებია, შესაბამისად პროექტების განსახორციელებლად არც დაფინანსება არ მიუღია, მხოლოდ სამინისტროს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან არაარსებითი თანხა გაიხარჯა წლის ბოლოს (60,6 ათ. ლარი) ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად.


აუდიტის ობიექტზე წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, ევროკავშირის მიერ 2014 წლის მაისში დაქირავებული გარე შეფასების ექსპერტების მიერ 5 მილიონი გრანტის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმებაზე შეფასების ანგარიშში მოცემულია შემდეგი კომენტარი:

„ევროკავშირი განიზრახავდა სამინისტროსთვის მსოფლიო ბანკის დაფინანსებით შექმნილი სსიპ-ის საქმიანობების დასრულების შემდეგ, ახალი სსიპ-ის შექმნის მატერიალურ მხარდაჭერას. თუმცა, ამ სსიპ-ის შექმნა არ განხორციელდა და ასევე არ მომხდარა მის საქმიანობასთან დაკავშირებული კონცეპტუალური საკითხების გარკვევა. საკითხის ევროკავშირის წარმომადგენლობასთან განხილვების დროს სამინისტროს მხრიდან არ იყო მიღებული ადექვატური ზომები, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. ამის შემდეგ, ევროკავშირის მიერ მოხდა ალტერნატიული ზომების შეთავაზება სამინისტროსთვის, თუმცა სამინისტრომ მათ არ დაუჭირა მხარი.“

აღნიშნულის გამო, ევროკავშირმა არ განახორციელა 5 მლნ ევროს ტრანში სააგენტოს დასაფინანსებლად, აღნიშნულიდან გამომდინარე, დევნილ მოსახლეობას შეეზღუდა დასაქმებისა და საარსებო წყაროს, მუდმივი შემოსავლის გაჩენის შესაძლებლობა.

შემდგომ, კომისიამ გამოაცხადა კონკურსი საარსებო წყაროების პროექტების დასაფინანსებლად, რომელშიც გაიმარჯვა სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ (დანის ლტოლვილთა საბჭო პარტნიორი - ცენტრი „აფხაზეთი“, მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ, Mercy Corps) და 4 მლნ ევროს ოდენობით მოხდება მათი დაფინანსება გრანტის სახით.

ზემოაღნიშნული პროცესების გათვალისწინებით, დამატებითი დახმარება - 9 მლნ ევრო შემდეგნაირად განაწილდა:





შეთანხმების ხელშეკრულების თანახმად, შიდა მონიტორინგის ყველა პროცესსა და საქმიანობას, რაც უკავშირდება პოლიტიკის მატრიცაში მოცემული პირობების შესრულებას, ხელმძღვანელობს სამინისტრო. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო თვალყურს ადევნებს პროგრამის პროცესის განხორციელებას, პირობების შესრულებას. სამინისტროს ევალება კვარტალურად წარადგინოს ანგარიში პროგრამის სტატუსზე, მიმდინარეობაზე, დაგეგმილთან შედარება და შეფასებები.

სამინისტრო წარუდგენს ხელშეკრულების განხორციელების შესახებ ანგარიშს, დევნილთა პროგრამა 4-ის მიზნებისთვის შექმნილ სამეთვალყურეო საბჭოს. (საბჭოს შემადგენლობაში მუდმივი წევრები არიან - ევროკომისია, ფინანსთა სამინისტრო, დევნილთა სამინისტრო, ორგანიზაცია FAO, ასევე სხვა უწყებები, რომელთა შემადგენლობა იცვლება განსახილველი საკითხიდან გამომდინარე).

აუდიტის ობიექტზე მიღებული განმარტებით, სამინისტრო ადგენს თვითშეფასების ანგარიშებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ არის შედგენილი და

შესაბამისად წარდგენილი 2014 წლის III და IV კვარტლის ანგარიში და წლიური მოხსენება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ევროკავშირთან დადებული შეთანხმებით გათვალისწინებული 2014 წელს განხორციელებული აქტივობების სრულყოფილი და სრულფასოვანი ანალიზი და შეფასება.

აუდიტორთა ხელმოწერა:

უფროსი აუდიტორი		ლალი სეხნიაშვილი
აუდიტორი		ლაშა ჩივიაშვილი
აუდიტორ ასისტენტი		ალექსანდრე ასათიანი
აუდიტორ ასისტენტი		მარიამ რობაქიძე

ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება

ფორმა №1 – ბალანსი

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

აქტივები	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში		42
სხვა ანგარიშები ხაზინაში	24,526	334,243
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	472,961	472,961
სხვა საგადასახადო აქტივი		117
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	10,320,540	6,751,590
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	107,291	16,202,032
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	358,967	363,979
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	307,311	24,846
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1,322,416	2,002,216
II. არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	54,226	57,503
შენობა-ნაგებობები	29,557,294	33,126,055
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,439,050	1,456,997
სხვა ძირითადი აქტივები	103,963	225,233
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	103,956	
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	370,533	373,385
არაწარმოებული აქტივები	33,000	33,000
ბალანსი	44,576,032	61,424,199
ვალდებულებები და კაპიტალი		
I. ვალდებულებები		
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	102,504	3,926
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	71,403	13,066
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	2,005	90
სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	11,025	33,115
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	4,607,272	4,609,692
II. კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	39,781,823	56,764,309
ბალანსი	44,576,032	61,424,199
III. საცნობარო მუხლები		
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	205,277	70,664
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	8,109	9,880
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	485,386	555,175
ვადაგადაცილებული დავალიანებები	4,620,338	4,617,958
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	91,841	130,937

ბალანსის დანართი ფორმა №2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	22,669,031	28,482,095	29,218,352	29,137,455	29,137,455	33,562,963	4,425,508
შრომის ანაზღაურება	4,115,000	4,385,010	4,384,725	4,383,626	4,383,626	4,382,999	(627)
ხელფასები			4,384,725	4,383,626	4,383,626	4,382,999	(627)
ხელფასები ფულადი ფორმით			4,384,725	4,383,626	4,383,626	4,382,999	(627)
თანამდებობრივი სარგო			3,285,854	3,285,455	3,285,455	3,284,828	(627)
პრემია			481,970	481,270	481,270	481,270	
დანამატი			616,901	616,901	616,901	616,901	
საქონელი და მომსახურება	5,122,706	4,481,655	4,910,543	4,867,284	4,867,285	5,278,985	411,700
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			851,014	846,919	846,919	846,919	
მივლინებები			195,867	193,439	193,439	476,414	282,975
ოფისის ხარჯები			2,153,228	2,132,970	2,132,970	2,235,039	102,069
წარმომადგენლობითი ხარჯები			28,414	27,597	27,597	26,970	(627)
კვების ხარჯები			525	525	525	525	
სამედიცინო ხარჯები			2,047	2,047	2,047	2,047	
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან			7,129	7,129	7,129	9,096	1,967
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები			591,805	582,508	582,508	584,045	1,537
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			1,080,514	1,074,150	1,074,150	1,097,930	23,780
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						648,493	648,493
გრანტები	23,037		23,037	23,037	23,037	23,037	

გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს			23,037	23,037	23,037	23,037	
მიმდინარე			23,037	23,037	23,037	23,037	
სოციალური უზრუნველყოფა	1,272,548	8,000,959	8,209,940	8,175,621	8,175,621	8,208,736	33,115
სოციალური დახმარება			8,180,504	8,147,388	8,147,388	8,180,504	33,115
ფულადი ფორმით			8,180,504	8,147,388	8,147,388	8,180,504	33,115
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება			29,436	28,233	28,233	28,233	
ფულადი ფორმით			29,436	28,233	28,233	28,233	
სხვა ხარჯები	12,135,740	11,614,471	11,690,107	11,687,887	11,687,887	15,020,712	3,332,825
სხვადასხვა ხარჯები			11,690,107	11,687,887	11,687,887	15,020,712	3,332,825
მიმდინარე			1,054,540	1,054,539	1,054,539	1,059,339	4,800
კაპიტალური			10,635,567	10,633,348	10,633,348	13,961,373	3,328,025
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნების შესახებ							
მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით		ფაქტიურად*		ბიუჯეტგარეშე		
	გეგმით				გეგმით		
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	282			270			
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	43			33	25		

ბალანსის დანართი ფორმა №2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	25,773,600	20,042,335	20,054,340	20,054,340	20,054,340
ძირითადი აქტივები		28,830	20,054,340	20,054,340	20,054,340
შენობა-ნაგებობები			19,820,875	19,820,875	19,820,875
საცხოვრებელი შენობები			19,775,883	19,775,883	19,775,883
არასაცხოვრებელი შენობები			44,991	44,991	44,991
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			218,221	218,221	218,221
სატრანსპორტო საშუალებები			113,041	113,041	113,041
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			105,180	105,180	105,180
სხვა ძირითადი აქტივები			15,245	15,245	15,245
სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები			15,245	15,245	15,245

ბალანსის დანართი ფორმა №2-2 - ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და
ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ფინანსური აქტივები				
ვალდებულებები	172,729	172,722	172,445	172,445
საშიანო	172,729	172,722	172,445	172,445
სხვა კრედიტორული დავალიანებები	172,729	172,722	172,445	172,445

ბალანსის დანართი ფორმა №3 - ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
ნაშთი წლის დასაწყისისათვის		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	39,781,823
მომუშავეთა ანაზღაურება	4,382,999	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	49,364,241
საქონელი და მომსახურება	5,278,985	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	648,493	შემოსავლები	491,662
მ.შ. ფიზიკური ცვეთა	648,493	მ.შ. გრანტები	482,765
გრანტები	23,037		
სოციალური უზრუნველყოფა	8,208,736		
სხვა ხარჯები	15,020,712		
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება		აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	93,404
ფინანსური აქტივები		ფინანსური აქტივები	
ფინანსური ვალდებულებები		ფინანსური ვალდებულებები	
არაფინანსური აქტივები		არაფინანსური აქტივები	93,404
სხვა ეკონომიკური ნაკადები	33,011	სხვა ეკონომიკური ნაკადები	2,474,726
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	24,526		
შემოსავლების საკასო შესრულებით *			
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	1,821,048		
სადებეტო ბრუნვა	35,441,547	საკრედიტო ბრუნვა	52,424,033
სულ ჯამი:**	35,441,547	სულ ჯამი:***	92,205,856
ნაშთი პერიოდის ბოლოს		ნაშთი პერიოდის ბოლოს	56,764,309

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსულობებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთს წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთს წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			
შემოსულობები			
საოპერაციო შემოსავლები			
საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით			
გადასახადები			
გრანტები			
სხვა შემოსავლები			
ა) შემოსავლები საკუთრებიდან			
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია			
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები			
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა			
ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული			
შემოსავლები			
შემოსულობები			
არაფინანსური აქტივების კლება			
ფინანსური აქტივების კლება			
ვალდებულებების ზრდა			
სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები			
გადასახდელები			
საოპერაციო ხარჯები			
1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი		
1.1. შრომის ანაზღაურება	21		
1.2. საქონელი და მომსახურება	22		
1.3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23		
1.4. პროცენტი	24		
1.5. სუბსიდიები	25		
1.6. გრანტები	26		
1.7. სოციალური უზრუნველყოფა	27		
1.8. სხვა ხარჯები	28		
გადასახდელები			
2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31		
2.1. ძირითადი აქტივები	311		
2.2. მატერიალური მარაგები	312		
2.3. ფასეულობები	313		
2.4. არაწარმოებული აქტივები	314		

3. ფინანსური აქტივების ზრდა	32
3.1 საშინაო	321
3.2 საგარეო	322
4. ვალდებულებების კლება	33
4.1 საშინაო	331
4.2 საგარეო	332
სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
არასაოპერაციო შემოსავლები	
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	
არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება	
ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება	
ვალდებულებების გადაცემა	
არასაოპერაციო ხარჯები	
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	
არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	
ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	
ვალდებულებების მიღება	
მოგების	
გადასახადი	
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	

ბალანსის დანართი ფორმა №4-1 - ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

			სულ თანხა ლარებში		
უცხოურ ვალუტაში		ეროვნულ ვალუტაში	გეგმიური	საკასო	ფაქტიური
გრანტის მთლიანი მოცულობა		1,102,631	1,102,631	768,387	755,787
მ.შ მიღებული თანხა		1,102,631	1,102,631	768,387	755,787
მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა		1,102,631	1,102,631	768,387	755,787
მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა		184,800	184,800	173,023	173,023
1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში		24,526	24,526	24,526
2	მიმდინარე წლის მოცულობა		1,078,105	743,862	731,262
3	სულ (1+2)		1,102,631	768,387	972,010
4	ხარჯები		1,090,031	755,787	755,787
5	შრომის ანაზღაურება				
6	საქონელი და მომსახურება		451,706	439,928	439,928
7	პროცენტი				
8	სუბსიდიები				
9	გრანტები		23,037	23,037	23,037
10	სოციალური უზრუნველყოფა		214,548	214,548	214,548
11	სხვა ხარჯები		400,740	78,274	78,274
12	არაფინანსური აქტივების ზრდა		12,600	12,600	-
13	ფინანსური აქტივების ზრდა				
14	ვალდებულებების კლება				
15	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა		1,102,631	1,090,854	1,090,854
16	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები გრანტის თანხით		24,526	24,526	24,526

ბალანსის დანართი ფორმა №5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	წინა წლების აგანსების შემცირებები	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	მიღება						გასვლა						
				ბარტერით	სახელმწიფო	ერთეული თან	გრანტებით	სხვა ეკონომიკური	ნააღიზი	სხვა მიღებები	ბარტერით	დანაკლისით	სხვა ეკონომიკური	ნააღიზი	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურე ბით
მატერიალური მარაგები	54,226		455,024				8,656						0	460,404		57,503
სხვა მატერიალური მარაგები	54,226		455,024				8,656						0	460,404		57,503
ფულადი დოკუმენტები	5,199		59,737				5,242							61,423		8,755
სათადარიგო ნაწილები			34,195				1,332							34,861		666
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	49,027		361,092				2,083						0	364,121		48,082
ძირითადი აქტივები	31,204,262	102,183	3,852,308	29,500	93,111	106,245	136,046	129,540	29,500	4,365	33,011	648,493		129,540		34,808,285
შენობა-ნაგებობები	29,557,294	71,298	3,618,843					129,540				250,920				33,126,055
საცხოვრებელი შენობები	27,648,584		3,615,093									226,039				31,037,638
არასაცხოვრებელი შენობები	1,903,745	71,298	3,750				0	129,540				21,547				2,086,787
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	119											4				115
სხვა შენობა-ნაგებობები	4,846											3,331				1,515
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,439,050		218,221	29,500	93,111	96,431	6,046		29,500	4,365	33,011	358,484				1,456,997
სატრანსპორტო საშუალებები	693,687		113,041	29,500	90,557	73,875	4,397		29,500		33,011	141,619				800,927
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	745,363		105,180		2,554	22,555	1,649			4,365		216,865				656,070
სხვა ძირითადი აქტივები	103,963	5,300	15,245			9,814	130,000					39,089				225,233

რამატერიალური ძირითადი აქტივები	103,963	5,300	15,245	9,814	130,000	39,089	225,233
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	103,956	25,584				129,540	
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	370,533		40,985	293	33,620	647	373,385
არაწარმოებული აქტივები	33,000						33,000
მიწა	33,000						33,000

** აღირიცხება სადაზღვევო კომპანიებზე აქტივების მიღება/მიწოდება, ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციაში გადატანა და არაფინანსური აქტივების სხვა მოძრაობები*

ბალანსის დანართი ფორმა №5-1 - ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი (8100)	ზარალი ფლობიდან დებეტი (8100)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა კრედიტი (8200)	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება დებეტი (8200)
ფინანსური აქტივები			2,336,301	
სხვა დებიტორული დავალიანებები			2,336,301	
ფინანსური ვალდებულებები			109,379	109,379
სხვა კრედიტორული დავალიანებები			109,379	109,379

ბალანსის დანართი ფორმა №6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																		
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)							
			შეძენა	სხვა სახით მიღება	ექსპლუატაცია ციიდან გასული	სხვა სახით გასული												
							რაოდენობა	ნარჩენი ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება
	სატრანსპორტო საშუალება სულ	42	692741,86	5	113041	4	164502,59			5	29500	524540,62	147298,5	345216,9	32025,9	524077,04	147298,2	342087,1
მათ შორის																		
მსუბუქი	17	192894,31	2	33460					3	12800	165186	51894	107237	6055	165228	51894	107279	6055
ჯიპები და პიკაპები	25	499847,55	3	79581	4	164502,59			2	16700	359355	95405	237979	25971	358850	95405	234808	28637

